საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

12 აგვ 2024 წ.

KA000011502933724

№ **2024/3670**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ რატი ბრეგაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ [redacted] [redacted] თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლის ან სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს მსჯავრდებულ [redacted] [redacted] [redacted] [redacted] საქმეს. მსჯავრდებულის განცხადებებისა და თანდართული მასალის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულ [redacted] [redacted] მიუხედავად დადებითი დახასიათებისა, დისციპლინური დარღვევების არარსებობისა და სხვა დადებითი კრიტერიუმებისა, ადგილობრივი საბჭოს მიერ უარი ეთქვა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე, ასევე, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. ამასთან, პატიმრის ინფორმაციით, 2024 წლის პირველ ივლისს, ახალი განცხადებით მიმართა ადგილობრივ საბჭოს დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

ფაქტობრივი გარემოებები

მსჯავრდებულ [redacted] [redacted] შუამდგომლობები, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე და პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე არ დაკმაყოფილდა.[1]

- ***სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლა***

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, რომლითაც მსჯავრდებულ [redacted] [redacted] შუამდგომლობა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, აღნიშნულია:

განაჩენი/სასჯელი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის განაჩენით, [redacted] [redacted] ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 03 წლის ვადით. სასჯელის მოხდის თარიღია 2025 წლის 3 აპრილი.

საშიშროების რისკის სახე და სასჯელის მოსახდელად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების განსაზღვრა: სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის პირველი დეკემბრის №26118 ბრძანების საფუძველზე, მსჯავრდებული [redacted] [redacted] იმავე დღეს განთავსდა № 12 პენიტენციურ დაწესებულებაში; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2023 წლის 6 იანვრის №98 ბრძენების საფუძველზე სასჯელის მოხდა განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში; 2023 წლის 10 თებერვალს, მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრა საშიშროების საშუალო რისკი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2023 წლის 10 თებერვლის № 2438 ბრძანებით, სასჯელის მოსახდელად განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.

დასჯა/წახალისება: მსჯავრდებული [redacted] [redacted] № 12 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა; №12 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის №338 ბრძანებით მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; ასევე, №12 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს №459 ბრძანებით მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

ნასამართლობა: მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა.

გათავისუფლების შემდეგ: იცხოვრებს მითითებულ მისამართზე; განათლება - საშუალო; ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი; მსჯავრდებული სარგებლობს პაემნის უფლებით და აქვს სატელეფონო კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან; ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის საშუალო; აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და შსს სპეციალური დანიშნულების რაზმში მუშაობის გამოცდილება. მსჯავრდებული გათავისუფლების შემდეგ აპირებს დასაქმებას; პირველ ეტაპზე, მოიაზრებს ტაქსიზე მუშაობას, აქვს ლიცენზია.

სპეციალურ აქტივობებში ჩართულობა: მსჯავრდებული სარგებლობს ბიბლიოთეკით და დადის ეკლესიაში; გაიარა ტრენინგი: „პენიტენციური სტრესი", ორჯერ მიიღო მონაწილეობა სპორტულ მარათონში, შაშის და მაგიდის ჩოგბურთის თამაშში; დარეგისტრირებულია მაღაზია „რემარკეტში", სადაც განათავსა საკუთარი ხელნაკეთი ნამუშევრები; დაესწრო კულტურულ ღონისძიებას და სისტემატურად დაკავებულია სპორტული აქტივობით და ჩართულია მაგიდის ტენისის კურსში.

ფსიქოლოგის შეფასებით: მსჯავრდებულს არ უჭირს ემოციების მართვა; საუბრობს სამომავლო გეგმებზე; დანესებულებაში ცდილობს დროის რაციონალურად გამოყენებას; ავლენს ჯანსაღი ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარს; ინტერვიურების პროცესში განსაკუთრებული რისკ-ფაქტორის გარეშეა.

საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას:

- უარყოფითად შეაფასა მსჯავრდებულ [redacted] [redacted] მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ;
- აღნიშნა, რომ არ იკვეთება ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ;
- უარყოფითად შეაფასა, ასევე, ის გარემოება, რომ [redacted] [redacted] ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობას არ იღებს.

[redacted] [redacted] ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის №02/23/შ/პ-0649 გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, რასთან დაკავშირებითაც, საქმის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, 2024 წლის 1 მარტს №15/2186 საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 5 აპრილის № 3/9179-23 გადაწყვეტილებით გაუქმდა ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და საბჭოს დაევალა საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ადგილობრივმა საბჭომ, [redacted] [redacted] დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხზე, 2024 წლის 27 ივნისს მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

ადგილობრივი საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილებით, რომლითაც მსჯავრდებულ [redacted] [redacted] კვლავ უარი ეთქვა დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე, ყურადღება კვლავ გამახვილებულია დანაშაულის ხასიათზე. ასევე, საბჭომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობა იყო ფორმალური და მოტივირებული იყო გათავისუფლების შესახებ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებით. საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად:

დანაშაულის ხასიათი: ხსენებულ გადაწყვეტილებაში უარყოფითად არის შეფასებული დანაშაულის ხასიათი.

მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში: მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არის აგრესიული, იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს, არ აქვს დაკისრებული დისციპლინური სახდელები და არის წახალისებული ორჯერ, საბჭო მიიჩნევს, რომ წახალისება წარმოადგენს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის გამოხატულ ჰუმანურობის აქტს, ოჯახური კავშირების აღდგენა - გაძლიერებისათვის.

წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა: მსჯავრდებული ნასამართლობის არმქონეა.

ოჯახური პირობები: საბჭო აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმღები სოციუმი აკმაყოფილებდეს ცხოვრების ნორმალურ პირობებს. დანაშაულებრივი ქმედების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია, გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულის უზრუნველყოფა ოჯახური და მხარდამჭერი გარემოთი, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრები არაჯანსაღად განიხილავენ როგორც მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ასევე,

გათავისუფლების შემდგომ მათ ქცევას. აღნიშნული კრიტერიუმის სრულყოფილად შეფასებისათვის, აუცილებელია იკვეთებოდეს ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ; ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ; დაბრუნების შემდეგ მსჯავრდებულის თავშესაფრის არსებობა, მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებები; გათავისუფლების შემდეგ მისი (და/ან მისი ოჯახის წევრების) სავარაუდო შემოსავლის წყარო; რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა გათავისუფლების შემდგომ.

საბჭოს სხდომაზე გასაუბრების დროს,[2] მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში, საბარათე ანგარიშზე, რომლითაც სარგებლობს პენიტენციურ დაწესებულებაში, ჩაერიცხა 13 000 ლარზე მეტი, რასთან დაკავშირებითაც წარადგინა საბანკო ამონაწერები.

იქვე, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოს განცხადებით მიმართა [redacted] [redacted] მეუღლემ, რომელიც აცხადებს, რომ ჰყავთ ორი შვილი, აქვთ შესაბამისი ფინანსური შემოსავალი და დანაზოგი, ასევე, ორი ავტომანქანა და ტაქსის ლიცენზია, რომლის გამოყენებასაც აპირებს მსჯავრდებული თვითდასაქმების მიზნით. მსჯავრდებულის მეუღლე მკაფიოდ აფიქსირებს მისი და ოჯახის სურვილს და მზაობას მსჯავრდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ასევე, განაცხადების დანართის სახით, საბჭოს წარუდგინა საბანკო ანგარიშებისა და ამავე ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. [redacted] [redacted] მეუღლემ დამატებით ითხოვა, რომ მსჯავრდებულის გათავისუფლებასთან მიმართებით ოჯახის მზაობასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, ოჯახის საცხოვრებელი პირობები და მდგომარეობა შემოწმებულიყო მათ საცხოვრებელ მისამართზე. განმცხადებელმა დამატებით აღნიშნა, რომ მისი მეუღლის პატიმრობაში დატოვება ზრდის მისი შვილების სტრესს და იწვევს მათ ფსიქოლოგიურ ტრავმირებას, რის გამოც, მათთვის მნიშვნელოვანია [redacted] [redacted] პატიმრობიდან გათავისუფლება.

დამნაშავის პიროვნება: მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებისას საბჭომ მიმოიხილა [redacted] წარდგენილი ბრალდება და აღნიშნა, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს იგი არ დაეთანხმა წარდგენილ ბრალს. ამასთან, საბჭოს შეფასებით, [redacted] [redacted] ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით აქვს აბსოლუტურად იგივე დამოკიდებულება და სინანულის ნაცვლად, ამჟღავნებდა გულგრილ დამოკიდებულებას თემის ირგვლივ.

- ***სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება***

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შუამდგომლობის განხილვის პარალელურად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივმა საბჭომ განიხილა მსჯავრდებულ [redacted] [redacted] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა, რომელიც, ასევე არ დაკმაყოფილდა.[3]

ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებაში მითითებულია:[4]

დანაშაულის ხასიათი: ხსენებულ გადაწყვეტილებაში უარყოფითად არის შეფასებული დანაშაულის ხასიათი.

მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში: მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არის აგრესიული, იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს, არ აქვს დაკისრებული დისციპლინური სახდელები და არის წახალისებული, საბჭო აღნიშნულ გარემოებებს არ მიიჩნევს არსებითად და საკმარისად საბოლოო დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად.

წარსულში დანაშაული ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა: მსჯავრდებული ნასამართლობის არმქონეა.

ოჯახური პირობები: საბჭო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში, ოჯახური კავშირების არსებობა წარმოადგენს ძლიერ დამცავ ფაქტორს საზოგადოებაში რეინტეგრაციის, განმეორებითი დანაშაულის შემცირებისა და საზოგადოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, რაც, საბჭოსვე შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში ბუნდოვანია. საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, „ოჯახური პირობები“ [redacted] [redacted] მიმართ, ვერ მიიჩნევა პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებად.

მსჯავრდებულის პიროვნება: საბჭოს შეფასებით, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მიზნების მიღწევა, ამ ეტაპზე არ მომხდარა, ვინაიდან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა[5] მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც არსებობს თავისუფლების პირობებში მსჯავრდებულის კანონის შესაბამისი ქცევისა და უსაფრთხო რესოციალიზაციის მოლოდინი. ამგვარ მოლოდინს კი, ქმნის თავად დამნაშავის პიროვნული მახასიათებლები, მისი ქცევა გამოხატული იქნება სოციალურ აქტივობებში ჩართულობით თუ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობით.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის[6] თანახმად, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემსუბუქების სხვა წესი განისაზღვრება კანონით. კანონის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.[7] სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ კანონმდებლობით.[8] სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.[9] კანონით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ

საბჭოს შეუძლია ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს (გარდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულისა), სასჯელის მოხდის დროს, მისივე თანხმობით, შეუცვლოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით[10] ან შინაპატიმრობით,[11] თუ მან ფაქტობრივად მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.[12] მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) უფლება აქვს, წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა. აგრეთვე, შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.[13]

კანონით, სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთაშეფარდებული პირი (განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის გარდა) შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.[14]

მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.[15] თუ მსჯავრდებულმა (საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულის გარდა) ფაქტობრივად მოიხადა პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა.[16]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 6 წლამდე ვადით, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება - 3-დან 7 წლამდე ვადით. შესაბამისად, ხსენებული დანაშაულები მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.[17] ამდენად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეფარდებულ პირს, შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით.

საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.[18] ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან საქმის ზეპირი მოსმენით განსახილველად დაშვების შესახებ.[19] საბჭო განხილვისას ითვალისწინებს სასჯელის მოხდისას მსჯავრდებულის ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.[20] გადაწყვეტილებაში აღინიშნება საქმის ძირითადი გარემოებები და მსჯავრდებულის რეკვიზიტები.[21]

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დეტალურად არის აღწერილი შეფასების კრიტერიუმები და საყურადღებო გარემოებები:[22]

- დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები და ვითარება, ჩადენილია თუ არა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობა და სახე, კონკრეტულად, რა სახის ქმედების გამო იყო ეს ღონისძიებები გამოყენებული, დაწესებულების დებულების, დღის განრიგის, მოვალეობების შესრულებისა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი;
- ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- მსჯავრდებულის პიროვნება – დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდისას სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, გამოიცემა საბჭოს სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.[23] პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.[24]

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში, გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო.[25] თუ შინაპატიმრობით გათავისუფლებულმა მსჯავრდებულმა შინაპატიმრობის მოხდისას: განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ან თუ სხვა მიზეზით სასჯელის შემდგომი მოხდა მიზანშეუწონელია, სასამართლოს შეუძლია დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს შინაპატიმრობა და

აღსრულდეს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი; თუ გაუფრთხილებელი დანაშაული ჩაიდინა, შინაპატიმრობის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წვეტს სასამართლო; ხოლო, თუ განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს შინაპატიმრობას და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს კანონით დადგენილი წესით. იმავე წესით დაენიშნება მას სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისთვის, თუ სასამართლო გააუქმებს შინაპატიმრობას...[26]

საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, პირობით ვადამდე გათავისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მათი განხორციელების წესი და მსჯელობა მიეკუთვნება სახელმწიფოების უფლებამოსილებას.[27] სახელმწიფოს არჩევანი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სისტემის სასარგებლოდ, მათ შორის, სასჯელის გადახედვისა თუ ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე, ხვდება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობის სფეროს მიღმა იმ პირობით, რომ სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ პრინციპებს.[28]

მართალია, დასჯა თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი მიზანია, თუმცა ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უკვე აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე.[29] ასევე, დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ „უმთავრეს ფუნქციას".[30] მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ იძლევა გარანტიას - რეაბილიტაციის უფლებას, სასამართლოს პრეციდენტული სამართალი აცხადებს, რომ მსჯავრდებულებს, მათ შორის უვადო პატიმრებს, უნდა შეეძლოთ რეაბილიტაცია[31] და, ასევე, უნდა ჰქონდეთ გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ.[32] იმ გარემოებებში, როდესაც მთავრობა ცდილობს დაეყრდნოს მხოლოდ დამნაშავეების მიერ საზოგადოების წინაშე არსებულ რისკს, რათა გაამართლოს მათი პატიმრობა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამნაშავეთა რეაბილიტაციის წახალისების საჭიროება. ხოლო რეაბილიტაციის ერთ-ერთი მიზანია ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ამით საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა.[33]

ევროპული ციხის წესების[34] თანახმად, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლოს მექანიზმებით, რომელებიც გათავისუფლების შემდგომ მათ თავისუფალ საზოგადოებაში დაბრუნებას შეუწყობს ხელს; უნდა შედგეს პერსონალური გეგმა თითოეული პატიმრის სასჯელის მოხდის შესახებ და სტრატეგია პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადების შესახებ; გეგმა, რამდენადაც მისი პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს: სამუშაოს, განათლებას, სხვა აქტივობებს, გათავისუფლებისათვის მომზადებას; მსჯავრდებულებს დროულად უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურებსა და სპეციალურ პროგრამებში, რომელიც დაეხმარება მათ მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან კანონმორჩილი ცხოვრებისაკენ საზოგადოებაში; ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ძლიერ სოციალურ მხარდაჭერასთან კომბინაციაში.

[35]
გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (ნელსონ მანდელას წესები) თანახმად, სასურველია სასჯელის ვადის დასრულების წინ მიღებულ იქნას ზომები პატიმრის საზოგადოებაში თანდათანობითი დაბრუნებისათვის. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თითოეული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გათავისუფლების წინარე რეჟიმის შემუშავების გზით თვით იმავე ციხეში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში, ან სასამართლოზე პატიმრის გათავისუფლებით რაიმე სახის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც არ უნდა ევალებოდეს პოლიციას და რომელიც უნდა იყოს შერწყმული ეფექტიან სოციალურ დახმარებასთან.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის[36] თანახმად:

- პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის და კრიტერიუმების შესახებ უნდა იცოდნენ პატიმრებმა[37] და ამ უფლების მისაღებად მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა უნდა განისაზღვროს კანონით;[38] ასევე, კრიტერიუმები, უნდა იყოს მკაფიო და რეალისტური იმ თვალსაზრისით, რომ გაითვალისწინოს პატიმართა პიროვნული, სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, პროგრამების ხელმისაწვდომობა;[39]
- პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შემდეგი გარანტიებით: მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ პირადად მოსმენისა და იურიდიული დახმარების უფლება; გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ელემენტი, მათ შორის მსჯავრდებულთა განცხადებები, მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა თავიანთ საქმეზე; გადაწყვეტილებებში უნდა იყოს მითითებული ძირითადი მიზეზები და ეცნობოს წერილობით;[40] გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უნდა ჰქონდეთ ანგარიშები, მათ შორის, ზეპირი განცხადებები ციხეში მომუშავე პერსონალისგან, ვინც იცნობს პატიმრებს და მათ პირად მდგომარეობას;[41]
- პირობით გათავისუფლებულ პატიმართა რეციდივის რისკის შესამცირებლად შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური პირობების დაკისრება;[42] პირობით გათავისუფლებას ასევე უნდა ახლდეს ზედამხედველობა, რომელიც შედგება დახმარებისა და კონტროლის ზომებისგან. ზედამხედველობის ბუნება, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს ადაპტირებული ინდივიდუალურ შემთხვევაზე და დაწესდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში;[43]
- მსჯავრდებულებს უნდა შეეძლოთ საჩივრის შეტანა ზემდგომ , დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში და ჰქონდეთ პროცედურული გარანტიები; ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრის წარდგენის პროცედურები პირობითი გათავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.[44]

სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგები

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის სისტემური ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში, მათ შორის, 2014 წელს[45] და 2019 წელს[46] გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშებში, საქმიანობის ანგარიშებსა[47] და საპარლამენტო ანგარიშებში[48] ყურადღებას ამახვილებდა მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკის, მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესწავლის შედეგად გამოვლენილ პრაქტიკულ და საკანონმდებლო ხარვეზებზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭოები, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებს არ ასაბუთებდნენ და არ მიუთითებდნენ კონკრეტულ მოტივაციაზე, რის გამო ანიჭებდნენ ერთ კრიტერიუმს უფრო მეტ ყურადღებას და სხვას - ნაკლებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებები არაერთგვაროვანი იყო და საბჭოს მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. მიუხედავად ბოლო პერიოდში გამოვლენილი დადებითი ტენდენციებისა, ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში კვლავ იკვეთება გარკვეული ხარვეზები, რომლებიც დეტალურად მიმოხილულია შესაბამის ანგარიშებში.[49]

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მექანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, დროულად გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა პატიმრები სრულად იყვნენ ორიენტირებულნი სასჯელის მოხდის პერიოდში მათზე დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებასა და რესოციალიზაციის პროცესზე, შედეგად კი ჰქონდეთ ამ მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის იმედი.

წინამდებარე საქმის ანალიზი

[redacted] განცხადებების, ასევე, ადგილობრივი საბჭოდან მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხსენებულ საკითხებზე ადგილობრივ საბჭოში ადმინისტრაციული წარმოება თავიდანვე ზედაპირულად მიმდინარეობდა, ფაქტობრივი გარემოებები არ იყო სათანადოდ გამოკვლეული და გადაწყვეტილებები ემყარებოდა არარელევანტურ არგუმენტებს, კერძოდ:

მსჯავრდებულ [redacted] ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარი ეთქვა, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს დადებითი დახასიათება, წახალისებულია რამდენჯერმე, არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი, კარგი ურთიერთობით გამოირჩევა თანამშრომლებთან და პატიმრებთან, გაიარა ფსიქო-სარეაბილიტაციო ტრენინგი, ორჯერ მიიღო მონაწილეობა სპორტულ მარათონში, დარეგისტრირებულია მაღაზია „რემარკეტში", სადაც განათავსა საკუთარი ხელნაკეთი ნამუშევრები, დაესწრო კულტურულ ღონისძიებას, დაკავებულია სპორტული აქტივობით, სარგებლობს ბიბლიოთეკის მომსახურებით, დადის ტაძარში, აქვს სამუშაო გამოცდილება, ჰყავს ოჯახი, რომელთანაც ინარჩუნებს აქტიურ კონტაქტს, აქვს საცხოვრებელი ადგილი, სამომავლოდ ავლენს შრომის მოტივაციას.[50]

გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბჭომ, საკითხის განხილვისას, ყურადღება გაამახვილა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე და სიმძიმეზე. ამავდროულად, საბჭომ არასწორად შეაფასა ბრალის არაღიარების საკითხი, არასწორად მიუთითა პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დახასიათებაში სოციალური გარემოსა და მსჯავრდებულის ოჯახში დაბრუნებასთან მიმართებაში მზაობის თაობაზე ინფორმაციის არასაკმარისობაზე და სოციალური მუშაკის დასკვნის არარსებობაზე. ასევე, რესოციალიზაციის კომპონენტზე მსჯელობისას, საბჭომ სრულყოფილად არ გამოიკვლია მსჯავრდებულის საქმე, რა შემთხვევაშიც აღქმადი იქნებოდა მსჯავრდებულის აშკარა სურვილი და სწრაფვა რესოციალიზაციისკენ. გადაწყვეტილებაში მითითებულია არასრულფასოვანი ინფორმაცია მსჯავრდებულის მიერ ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის მზაობის თაობაზე.

საკითხის შესწავლის პროცესში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის № 12 პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულ [redacted] შეთავაზებულ სარეაბილიტაციო პროგრამაში მონაწილეობაზე უარი არ განუცხადებია.[51]

შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია გადაწყვეტილებაში მოცემული შეფასება, რომ რთულია მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიურ ცვლილებაზე და მის ეფექტიან რესოციალიზაციაზე მსჯელობა.

ბრალის აღიარების საკითხი

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის განაჩენის თანახმად, ბრალდებულთა საბოლოო სიტყვაში [redacted] უარყო ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა, თუმცა, № 12 პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემულ, 2023 წლის 4 ოქტომბრის დახასიათებაში მითითებულია, რომ მსჯავრდებული აღიარებს ბრალს და ინანიებს მომხდარს.

ბრალის არაღიარების საკითხზე მსჯელობის დროს კი, საბჭომ მხედველობაში მიიღო მხოლოდ სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვის დროს [redacted] მიერ დაფიქსირებული პოზიცია და არ გაითვალისწინა №12 პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დახასიათება, რომლის თანახმად, მსჯავრდებულის შემდგომი პოზიცია დანაშაულთან დამოკიდებულებასთან მიმართებაში, განსხვავდება მისი თავდაპირველი პოზიციისგან. უფრო მეტიც, დახასიათების მიხედვით, [redacted] გარდა იმისა, რომ აღიარებს ბრალს, ინანიებს დანაშაულს. ამდენად, საბჭოს უნდა ემსჯელა ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მსჯავრდებულის

პოზიციის ცვლილებასთან დაკავშირებით და ჯეროვნად შეეფასებინა აღნიშნული საკითხი, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საბჭომ, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის მხოლოდ მისი თავდაპირველი პოზიცია გაითვალისწინა. შესაბამისად, საბჭომ, ხსენებული კრიტერიუმი სათანადო გამოკვლევის გარეშე შეაფასა.

ინფორმაცია ოჯახისა და სოციალური გარემოს შესახებ, სოციალური მუშაკის დასკვნა

საბჭო გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ წარმოდგენილი დახასიათების[52] მიხედვით, (1) მსჯავრდებულის გადმოცემიდან გამომდინარე, არ იკვეთება ოჯახის სოციალური მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ და (2) [redacted] [redacted] დახასიათებას არ ახლავს მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სოციალური მუშაკის დასკვნა.

თუმცა, ამავე დახასიათების მიხედვით,[53] ვლინდება საპირისპირო, კერძოდ: [redacted] [redacted] კანონით მინიჭებულ პაემნისა და სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობის მეშვეობით ურთიერთობს ოჯახის წევრებთან. ასევე, ორჯერ, წახალისებით მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი,[54] რაც მიუთითებს მსჯავრდებულისა და ოჯახის წევრების მხრიდან მჭიდრო კავშირის შემხვედრ სურვილზე.

ამდენად, გაუგებარია, თუ რამ გამოიწვია კითხვები მსჯავრდებულის მიმართ ოჯახის მხრიდან ემოციურ კავშირსა და მისი ოჯახში დაბრუნების მზაობასთან მიმართებაში.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელ ინფორმაციას და სოციალური მუშაკის დასკვნას, გადაწყვეტილებიდან იკვეთება, რომ საბჭოს ჰქონდა მოლოდინი, რომ ხსენებული ინფორმაცია, სოციალური მუშაკის დასკვანასთან ერთად იქნებოდა წარმოდგენილი [redacted] [redacted] მიმართ სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ საკითხის განსახილველად. ამ შემთხვევაში, ბუნდოვანია ხსენებული ინფორმაციის არარსებობის, როგორც საკითხის დადებითად გადაწყვეტის დამაბრკოლებელ გარემოებაზე მითითება, იმის გათვალისწინებით, რომ არსებული სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში, ხსენებული ინფორმაციის და სოციალური მუშაკის დასკვნის წარდგენის ვალდებულება არ არსებობს. შესაბამისად, ხსენებული გარემოების მსჯავრდებულის მოთხოვნაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად გამოყენება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ:

„სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემაში, სოციალური მუშაობა წარიმართება ამ კანონისა და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის და დანაშაულის პრევენციის მიზნით:

...

ზ) მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კოორდინირებული საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ დასკვნის მომზადებას."

მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის №68 ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად, ხსენებული **ბრძანების მოქმედება ვრცელდება №5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და №16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაზე.**

შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებაში, მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელ ინფორმაციასა და სოციალური მუშაკის დასკვნის არარსებობის თაობაზე მითითება, როგორც დადებითი შედეგის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ გარემოებაზე, არ გამომდინარეობს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებიდან, **ვინაიდან, ხსენებული წესი არ ვრცელდება № 12 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებზე, სადაც ამჟამად იხდის სასჯელს** [redacted] [redacted]

ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამის საკითხი

საბჭო თავისი გადაწყვეტილების მართებულობას, ასევე ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ მსჯავრდებული მონაწილეობას არ იღებს ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამაში.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად:[55]

პენიტენციურ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო მომსახურებების/აქტივობების მსჯავრდებულებისთვის მიწოდება ორი ძირითადი მიდგომით ხდება:[56]

- რისკსა და საჭიროებაზე ორიენტირებული მოდელი: მსჯავრდებული ფასდება ბიოფსიქოსოციალური მოდელით (სპეციალიზირებული კითხვარი). გამოკვეთილი რისკისა და საჭიროებების მიხედვით ხდება ინდივიდუალური გეგმის გაწერა და მსჯავრდებულის სხვადასხვა სერვისებში მიზნობრივი

ჩართულობა;

- მოთხოვნასა და საჭიროებაზე ორიენტირებული მოდელი: მსჯავრდებულები ინფორმირებულები არიან დაგეგმილი აქტივობების შესახებ. მათი ინფორმირება ხდება სეგმენტურად დაწესებულების რეჟიმის, ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. მოთხოვნის შემთხვევაში ხდება მსჯავრდებულების ჩართვა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებსა და აქტივობებში.

პენიტენციურ სისტემაში არსებობს შემდეგი სარეაბილიტაციო მიმართულებები:[57]

- ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები;
- შრომა/დასაქმების პროგრამები;
- დამხმარე პროგრამები, პრო-სოციალური აქტივობა.

მსჯავრდებულმა [redacted] [redacted] სასჯელის მოხდის პერიოდში, სპეციალისტების რეკომენდაციით გაიარა:

- ფსიქო-სარეაბილიტაციო ტრენინგი „პენიტენციური სტრესი";
- ორჯერ მიიღო მონაწილეობა სპორტულ მარათონში შაშის და მაგიდის ჩოგბურთის თამაშში;
- დარეგისტრირებულია მაღაზია „რემარკეტში", სადაც განათავსა საკუთარი ხელნაკეთი ნამუშევრები;
- დაესწრო კულტურულ ღონისძიებას, სისტემატიურად დაკავებულია სპორტული აქტივობით და ჩართულია მაგიდის ტენისის კურსში. სარგებლობს საბიბლიოთეკო მომსახურებით და დადის ტაძარში.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, **მსჯავრდებულ [redacted] [redacted] ფსიქოლოგის რეკომენდაციით, შეეთავაზა ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამებიდან ჩართვა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში - „ნაბიჯი ცვლილებებისკენ", რაზეც მსჯავრდებულს უარი არ განუცხადებია და გამოხატა პროგრამის გავლის მზაობა.** [58]

N12 პენიტენციურ დაწესებულებაში შემთხვევის მართვის პროცესი ხორციელდება 2023 წლის აპრილის თვიდან, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხდება მსჯავრდებულის შეფასება და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, გამოვლენილ საჭიროებებზე მორგებული ექვსთვიანი სამოქმედო გეგმის გაწერა. მსჯავრდებულთა ჩართვა ამ პროცესში მიმდინარეობს ეტაპობრივად.[59]

შესაბამისად, **საბჭომ სათანადოდ არ გამოიკვლია მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროგრამების, მათ შორის, ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამის გავლის საკითხი და გადაწყვეტილებაში ინფორმაცია წარმოადგინა იმგვარად, თითქოს მსჯავრდებულს არ გააჩნია ხსენებულ პროგრამაში მონაწილეობის მზაობა, მაშინ, როდესაც, საკითხის შესწავლის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადასტურებს, როგორც საკუთარი ინიციატივით მსჯავრდებულის სხვადასხვა პროგრამის გავლას, ასევე, მზაობას ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამის გავლასთან დაკავშირებით.**

ბუნებრივია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საბჭოსთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა, აქვს თუ არა მსჯავრდებულს გავლილი ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები და უარყოფით შემთხვევაში, ლოგიკურია, რომ საბჭო მოცემულ კრიტერიუმს შესრულებულად ვერ გამოყოფს მანამ, სანამ აღნიშნული პროცესი არ დასრულდება და მსჯავრდებული ფაქტობრივად არ გაივლის პროგრამებს. თუმცა, ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს ჯერ არ გაუვლია ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით და პირიქით, იგი საამისო მზაობას გამოხატავს, საკითხის შეფასების პროცესში, წარმოჩენილი არ უნდა იყოს იმგვარად, რომ თითქოს, მსჯავრდებულს პროგრამაში ჩართვისა და შესაბამისად, რესოციალიზაციისკენ სწრაფვის სურვილი არ გააჩნია.[60]

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ადგილობრივმა საბჭომ ხელახლა განიხილა [redacted] [redacted] სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხი, დადგენილი კრიტერიუმების შეფასება არსებითად არ შეცვალა.[61] მაგალითად:

ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით საბჭო კვლავ მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას [redacted] [redacted] უარყო ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა. საბჭოს შეფასებით, მსჯავრდებულს დანაშაულთან დაკავშირებით კვლავ ანალოგიური დამოკიდებულება აქვს.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს მიერ საკითხის განხილვის დროს, მსჯავრდებულ [redacted] [redacted] მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გასაუბრებისას ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით საბჭოს განუცხადა, რომ ხსენებულ საკითხზე მის დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ განაჩენი არ გაუსაჩივრებია. თუმცა, ადგილობრივი საბჭოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ:[62] „მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ სიცრუეა, თითქოს რამე უარყო სასამართლოზე. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა." საბჭო კი აღნიშნავს, რომ „ხსენებული განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. 2024 წლის 6 თებერვლის თბილისის სააპელაციო განაჩენით უცვლელად დარჩა 2022 წლის 30 დეკემბრის განაჩენი, თუმცა, [redacted] [redacted] ამოერიცხა [redacted] [redacted] მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების შეუტყობინებლობაზე მითითება."

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 6 თებერვლის განაჩენის[63] თანახმად კი, მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით, **თუმცა, სააპელაციო საჩივრით სასამართლოსთვის მსჯავრდებულ [redacted] [redacted] არ მიუმართავს. ხსენებული განაჩენი სააპელაციო წესით ამავე საქმეზე მსჯავრდებულმა სხვა პირებმა გაასაჩივრეს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს მიერ მსჯავრდებულის პოზიციის საწინააღმდეგოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის განაჩენის გასაჩივრებაზე მითითება არარელევანტურია და კიდევ ერთხელ ადასტურებს საკითხის მიმართ საბჭოს ზედაპირულ მიდგომას.

მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით საბჭო აღნიშნავს, რომ №12 პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული დახასიათების თანახმად, სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი არ დაკისრებია, წახალისებული კი არის ორჯერ.

წახალისების ღონისძიების გამოყენების საფუძველი გახდა კარგი ყოფაქცევა და შინაგანაწესის მოთხოვნების სანიმუშოდ დაცვა. საქართველოს კანონის, „პენიტენციური კოდექსის" 99-ე მუხლის მიხედვით, მსჯავრდებული ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესი და პირობები, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნები. დაიცვას შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. საბჭოს პოზიციით, აქედან გამომდინარე, ორი წახალისების ღონისძიება წარმოადგენს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის გამოხატულ ჰუმანურობის აქტს, ოჯახური კავშირების აღდგენა-გაძლიერებისათვის.

ამდენად, ხსენებული მსჯელობის ფონზე, მსჯავრდებულის პოზიტიური ქცევა საბჭოს მხრიდან დადებითი შეფასების გარეშე რჩება.

საბჭო უთითებს, რომ № 12 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დახასიათების მიხედვით, [redacted] ნასამართლობის არმქონეა, **თუმცა, აღნიშნული კრიტერიუში ისევ დადებითი შეფასების გარეშე რჩება.**

მსჯავრდებულის ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით საბჭო უთითებს, რომ № 12 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დახასიათების მიხედვით, [redacted] ჰყავს შეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. სარგებლობს პაემნის უფლებით და აქვს სატელეფონო კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის საშუალო.

საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2024 წლის 14 ივნისს, საბჭოს განცხადებით მიმართა [redacted] მეუღლემ, რომელმაც განაცხადა, რომ მის ოჯახს სურს მსჯავრდებულის გათავისუფლება და გამოხატა მკაფიო მზადყოფნა მის ოჯახში დაბრუნებასთან დაკავშირებით. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ოჯახს აქვს დანაზოგი და ორი ავტომანქანა, რათა უზრუნველყოს მსჯავრდებულის საჭიროებები გათავისუფლების შემთხვევაში. ამასთან, მსჯავრდებულს გააჩნია ტაქსის ლიცენზია, რომლის გამოყენებითაც უზრუნველყოფს თვითდასაქმებას. [redacted] მეუღლე, ასევე, საუბრობს მცირეწლოვანი შვილების მდგომარეობაზე, რომელთათვისაც მამის პატიმრობაში ყოფნა არის სტრესის მომტანი და აღნიშნულით მიღებული ტრავმა პატიმრობიდან არგათავისუფლების შემთხვევაში იქნება მეტად მატრავმირებელი. მისივე განცხადების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს ექნება დამატებითი კითხვები ოჯახის მდგომარეობასთან დაკავშირებით, შეუძლიათ აღნიშნული შეამოწმონ ადგილზე, მათ საცხოვრებელ მისამართზე, რაზეც საბჭომ განმარტა, რომ მას ამის უფლებამოსილება არ გააჩნია.

ამრიგად, თუკი საბჭოს მიერ 2023 წლის 9 ნოემბრის და 2024 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებებში, [redacted] გათავისუფლების საკითხზე მსჯელობისას ხაზი გაესვა ოჯახის მხრიდან მისი მიღების მზადყოფნასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის არარსებობას, მოცემულ შემთხვევაში, საბჭომ, დამატებით მისი მეუღლის მიერ განცხადებით პოზიციის დაფიქსირება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენის ფაქტი შეფასების გარეშე დატოვა და შემოიფარგლა მხოლოდ განმარტებით, რომ ოჯახური მდგომარეობის ადგილზე შემოწმების უფლებამოსილება საბჭოს არ გააჩნია.

ამგვარად, იმ პირობებში, როდესაც N12 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის ოჯახური მდგომარეობის ადგილზე გადამოწმება არ ხდება შესაბამისი სამსახურის მიერ და ამის უფლებამოსილება არც ადგილობრივ საბჭოს გააჩნია, გაუგებარია, კიდევ რა სახის და ვისგან მოწოდებულ ინფორმაციას უნდა ფლობდეს საბჭო, თუკი პენიტენციური დაწესებულებიდან წარმოდგენილ დახასიათებასა და მსჯავრდებულის ოჯახის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას არ შეაფასებს და არ მიღებს მხედველობაში.

რაც შეეხება სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის ჩართულობას, 2023 წლის 9 ნოემბრის და 2024 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებებში საბჭო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს არ აქვს გავლილი ძირითადი სარეაბილიტაციო კურსი, რასაც დადებითი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევს.

ამასთან, მსჯავრდებულის მიერ 2023 წლის 9 ნოემბრის უარყოფითი გადაწყვეტილების შემდგომ, ხსენებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების პერიოდში [redacted] დამატებით ორ პროგრამაში ჩართვა, როგორიცაა „ნაბიჯი ცვლილებებისკენ" (დანაშაულის გაცნობიერება - მოიცავს ათ სესიას) და „ცხოვრების ჯანსაღი წესი"(მოიცავს ცხრა სესიას) საბჭომ შეაფასა, როგორც მის გათავისუფლებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებით მოტივირებული და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ხსენებულ პროგრამებში ჩართვა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში გაგზავნილ საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში[64] მიმოხილულია მსჯავრდებულ [redacted] სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართვის საკითხი. კერძოდ, საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მსჯავრდებულს გავლილი ჰქონდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო კურსები. ამასთან, მას დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო კურსების გავლაზე უარი არ უთქვამს. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[65] მსჯავრდებულ [redacted] ფსიქოლოგის რეკომენდაციით, შეეთავაზა ძირითადი

სარეაბილიტაციო პროგრამებიდან ჩართვა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში - „ნაბიჯი ცვლილებებისკენ“, რაზეც მსჯავრდებულს უარი არ განუცხადებია და გამოხატა პროგრამის გავლის მზაობა.

შესაბამისად, საბჭოს შეფასება, თითქოს მსჯავრდებულ [redacted] [redacted] მიერ ძირითადი სარეაბილიტაციო კურსის გავლა მოტივირებული იყო საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილებით და ატარებდა ფორმალურ ხასიათს - საფუძველს მოკლებულია.

რაც შეეხება მსჯავრდებულ [redacted] [redacted] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ 2024 წლის 10 მაისის №02/24/ზ-063 გადაწყვეტილებას, რომლითაც შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ადგილობრივი საბჭო, გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის ძირითადად, იგივე არგუმენტებს იშველიებს და არსებითად განსხვავებულ მსჯელობას არ გვთავაზობს.

დასკვნა

მსჯავრდებულისთვის გასაგები უნდა იყოს, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულებისა, კიდევ რა დადებით ქცევას ელის მისგან ადგილობრივი საბჭო. ყველა კრიტერიუმი სათანადო გამოკვლევისა და დეტალური ინფორმაციის საფუძველზე უნდა იყოს შეფასებული, რათა მსჯავრდებულისთვის, საბჭოს მსჯელობა და შეფასება იყოს აღქმადი და არ უტოვებდეს უსამართლობისა და განმეორებით „დასჯის“ განცდას. საბჭოს გადაწყვეტილება და მოტივაცია მოსალოდნელი ქცევის მიმართულებითაც გამჭვირვალე უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, უზრუნველყოთ: მსჯავრდებულ [redacted] [redacted] თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას სრულყოფილად და ჯეროვნად გამახვილეს ყურადღება ხსენებულ გარემოებათა (ნასამართლობის არქონა, ქცევა, პიროვნება და ოჯახური მდგომარეობა) ერთობლიობაზე და უპირატესობა არ მიენიჭოს მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს და ხასიათს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის №02/23/შ/პ-0649, 2024 წლის 10 მაისის №02/24/ზ-063 და 2024 წლის 27 ივნისის №02/24/შ/პ/ზ-053 გადაწყვეტილებები.
[2] საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენით.
[3] საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენით.
[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 10 მაისის № 02/24/ზ-063 გადაწყვეტილება.
[5] აღნიშნული ჩანაწერი, სავარაუდოდ, ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს, ვინაიდან, მოცემული გადაწყვეტილება [redacted] [redacted] [redacted] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და არა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს.
[6] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[9] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[10] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[11] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3^1 ნაწილი.
[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
[13] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.
[14] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[15] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; პენიტენციური კოდექსის 89-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[16] პენიტენციური კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[17] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი: „მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.“
[18] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[19] იქვე, 92-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
[20] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-6 ნაწილი.
[21] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-10 ნაწილი.
[22] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე

გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტები.

[23] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[24] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

[25] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

[26] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის, მე-12 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Kafkaris v. Cyprus, განაცხადი N21906/04 §151.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others V. UK განაცხადები N 66069/09, 130/10 and 3896/10) პარ. 103.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 115.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 108.

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 103.

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 114.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 102.

[34] ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე, ცვლილებები და შესწორებები შეტანილია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 1 ივლისს მინისტრთა მოადგილეების 1380-ე კრებაზე) პუნქტ. 33.3, 103.2, 103.4, 107.1-107.3. <https://rm.coe.int/09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს]

[35] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. წესი 87. იხ. <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს.]

[36] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით გათავისუფლების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე) იხ. <https://rm.coe.int/16800ccb5d> (ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს).

[37] იქვე, პუნქტი 5.

[38] იქვე პუნქტები 16 და 22.

[39] იქვე, პუნქტი 18.

[40] იქვე, პუნქტი 32.

[41] იქვე, პუნქტი 25.

[42] იქვე, პუნქტი 8.

[43] იქვე, პუნქტები 9 და 10.

[44] იქვე, პუნქტები 33-34.

[45] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა“ 2014 წ. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს].

[46] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“. 2019 წ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს].

[47] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშები: 2021 წლის ანგარიში, გვ. 56-69, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს]; 2022 წლის ანგარიში, გვ. 111-131 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს].

[48] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2021 წლის ანგარიში, გვ. 86-90, <https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024]; 2022 წლის ანგარიში, გვ. 93-96 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს].

[49] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 100-106, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf > [ბოლოს ნანახია: 31.07.2024]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 226-263, <https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024].

[50] №12 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული 2023 წლის 4 ოქტომბრის დახასიათება.

[51] №12 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 28 დეკემბრის №363898/01 წერილი.

[52] იქვე.

[53] იქვე.

[54] იქვე.

[55] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 28 დეკემბრის №363898/01 წერილი.

[56] იქვე.

[57] იქვე.

[58] სპეციალურ პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 28 დეკემბრის, №363898/01 წერილი.

[59] იქვე.

[60] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, მსჯავრდებულთა სოციალურ აქტივობებში ჩართულობის

მზაობის საკითხთან მიმართებით, ადგილობრივ საბჭოებს, ხშირად ზედაპირული და შაბლონური მიდგომა აქვთ და არ ხდება ამ კრიტერიუმის შეფასების პროცესში საკითხის სიღრმისეული კვლევა და დადგენა იმისა, ჰქონდათ თუ არა მსჯავრდებულებს კონკრეტულ დაწესებულებაში და დროის კონკრეტულ პერიოდში ჩართული ყოფილიყვნენ ამგვარ აქტივობებში მაშინ, როდესაც, პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ-სპორტული ღონისძიებები მწირი რაოდენობით ტარდება და ფრაგმენტული ხასიათი აქვს, ასევე აქტივობები არ არის მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული. მაგ.: იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 64-66. ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > [ბოლოს ნანახია: 31.07.2024].

[61] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 27 ივნისის № 02/24/შ/პ/ზ-053 გადაწყვეტილება.

[62] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 27 ივნისის სხდომის ოქმი.

[63] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 6 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/ბ-360-23.

[64] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მარტის №15/2186 სასამრთლოს მეგობრის მოსაზრება.

[65] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 28 დეკემბრის №363898/01 წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი